საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-519

ქ. თბილისი

12/06/2019

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ გიორგი გერგედავას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ გიორგი გერგედავას მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცაიშში 2000 მ² ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.20.42.013). წყალაღება დაგეგმილია მდ. ჯუმიდან, რომელიც სასათბურე მეურნეობიდან დაშორებულია დაახლოებით 215 მეტრით. წყალაღების ადგილის GPS კოორდინატებია: X-731011; Y-4700976. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 50 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სასათბურე მეურნეობის წყალმომარაგების მიზნით დაგეგმილა სარწყავი სისტემის მოწყობა. სარწყავი სისტემის მოსაწყობად გამოყენებული იქნება 215 მ. სიგრძის და 30 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილი, ასევე 1 ცალი 5 მ³/სთ წარმადობის ტუმბო წყლის მდინარიდან ამოსატუმბად. მდინარე ჯუმადან აღებული წყალი, მიეწოდება 2 ტ. ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც განხორციელდება მცენარეთა მორწყვა.სასათბურე მეურნეობა წელიწადში მოიხმარს 720 მ³ ზედაპირულ წყალს.

გათვალისწინებულია წყლის ტუმბოს დამონტაჟება, რომელიც იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადში მოიხმარს 90 კილოვატ ელ. ენერგიას. ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაძლო ხმაურის წყაროს - წყლის ტუმბოს სიმძლავრის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

30 მმ წყალმომარაგების მილი განთავსდება სანიაღვრე არხის გაყოლებაზე, მილებისთვის გამოყენებული იქნება არსებული ტრანშეა და ახალი თხრილის გაჭრა საჭირო არ იქნება. მილის განთავსების ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ეკუთვნის ადგილობრივ თვითმმართველობას და სამუშაოების დაწყებამდე მოხდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმება.

საპროექტო არეალის მდებარეობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად პროექტის გამხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

პროექტის განხორციელებისას, როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

სარწყავის მოწყობის პროცესში მიწისა და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან სამუშაოების პროცესში გათვალისწინებული არ არის სპეცტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება საწვავით და საზეთ-საპოხი მასალებით.

საქმიანობის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკები არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ზონის სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორია.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ გიორგი გერგედავას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ გიორგი გერგედავა ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ გიორგი გერგედავას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ გიორგი გერგედავას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი